ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7335408

ნომერი: AR11071695

თარიღი : 25.12.2024

გაცემის თარიღი : 30.12.2024

გაცნობის თარიღი : 30.12.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ს. ჩიქოვანის ქ. N26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 25დეკემბერს №AR11071695 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. №26-ში მდებარე №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2027 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6797454 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში და ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მესაკუთრე(ები): შპს “ურბანუს მზიური” (ს/ნ: 445725831).“.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შეთანხმებული -3.00, +0.00 და +3.00 ნიშნულების გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი „პანდუსის შემომსაზღვრელ კედლებში დატანილი ღიობები“ შეუსაბამოა ერთმანეთთან. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და შეთანხმებული „1-5“, „ვ-ა“ ჭრილებისა და „1-5“, „ვ-ა“ ფასადების ჩანაცვლებას წარმოდგენილით.

სამსახურმა შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის №AR1942663 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის საპროექტო ობიექტის გეგმა-ნახაზები, არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ჭრილები და ფასადები. სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. შესაბამისად, შეთანხმებული „1-5“, „ვ-ა“ ჭრილებისა და „1-5“, „ვ-ა“ ფასადების ჩანაცვლება შეცვლილი ამავე ჭრილებითა და ფასადებით, არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.

განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო სამუშაოებისგან განსხვავებული სამუშაოების განხორციელება საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და შესაბამისი, საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენას, მათ შორის ურთიერთშესაბამისი გეგმა-ნახაზების, არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის, ჭრილებისა და ფასადების.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.